საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/367 “ 27 ” დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველის პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2019 წლის 27 დეკემბრის №1/367 გადაწყვეტილებით

მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის (შემდგომში - მედიატორი) საქმიანობის ანაზღაურების საკითხებს.

მუხლი 2. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წყარო

მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მუხლი 3. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა

1. მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად.

2. ანაზღაურებას ექვემდებარება მედიატორის მიერ მხარეებთან როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად წარმართული კომუნიკაცია.

3. მხარეებთან წარმართული კომუნიკაციის ყოველი არასრული საათი ექვემდებარება ანაზღაურებას თითოეული საათისთვის დადგენილი თანხის ოდენობით.

4. ანაზღაურებას არ ექვემდებარება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

5. მედიატორის მიერ მხარეებთან ინდივიდუალურად და ერთობლივად წარმართული კომუნიკაციის პირველი 10 საათის ანაზღაურება განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით თითოეული საათისათვის, ხოლო ყოველი მომდევნო საათის ანაზღაურება - 10 ლარის ოდენობით.

6. მედიაციის ერთდროულად რამდენიმე მედიატორის მიერ წარმართვის შემთხვევაში, კონკრეტულ საქმეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

მუხლი 4. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების პროცედურა

1. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების მიზნით, კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში (შემდგომში - კონსულტანტი) უზრუნველყოფს მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს საათობრივ აღრიცხვას, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე კონსულტანტის, მედიატორისა და მხარეთა ხელმოწერებით.

2. კონსულტანტი ყოველი კვარტლის ბოლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს უგზავნის ინფორმაციას მედიატორისათვის ასანაზღაურებელი თანხების თაობაზე.

3. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ანაზღაურებას ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებით, მედიატორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

4. მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება ყოველკვარტალურად.